სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/124

ქ. თბილისი 16 09 2020 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2020 წლის საშემოდგომო მიღებაზე მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ვადების განსაზღვრის შესახებ.

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის MES 9 20 0000834890 15/09/2020 ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აპლიკანტებმა, რომლებიც 2020 წლის საშემოდგომო მიღებაზე პროფესიული ტესტირების საფუძველზე მოიპოვებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლებას, 2020 წლის 17 სექტემბრიდან 29 სექტემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 17:00 საათამდე უნდა წარმოადგინონ ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია (იხ. დანართი №1).
2. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნეს შესაბამის ფაკულტეტზე, დასვენებისა და უქმე დღეების გარდა (იხ.დანართი №2).

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (თ. წერეთელი).
4. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

რექტორი დავით გურგენიძე

დანართი №1

რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

1. დაბადების მოწმობის ასლი;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. ორი ფერადი ფოტოსურათი (3x4სმ) ამობეჭდილი და მისი ელექტრონული ვერსია (CD დისკზე);
4. სამხედრო დოკუმენტის ასლი (სამხედროვალდებულთათვის);
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობით გათვალისწინებული დოკუმენტები - საბაზო/სრული განათლების ატესტატი ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

დანართი № 2

1. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „ბეჭვდითი მედიატექნოლოგიები“, „ჰაერის კონდიცირება“, „საოფისე საქმე“, „სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „ღონისძიების ორგანიზება“, „ავტომობილის ელექტრული სისტემების შეკეთება“, „ავტომობილის ძრავის შეკეთება“, „სამკერვალო წარმოება“, „ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება“, „საბაჟო საქმე“, „გრაფიკული დიზაინის შესრულება“, „ხის მხატვრული დამუშავება“, „სარკინიგზო გადაზიდვები“, „მექანიკის ინჟინერიის ტენიკოსი“, „მექატრონიკა“ სტუ-ის I კორპუსი, მე-7 სართული, ოთახი №725, საკონტაქტო ტელეფონი: 595745727

2. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ავტომატიზაცია“, სტუ-ის VI კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი № 220 ბ, საკონტაქტო ტელეფონი 599 970472

3. სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „სამთო ტექნიკოსი“, „სამთო ელექტრომექანიკოსი“, „მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი“, ქ. ტყიბული, კარლო ლომაძის მოედანი №4, საკონტაქტო ტელეფონი 599 988 927; 599 304 642